პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 10 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

წითელი არმიელი

ვ. წიგნის

№ 127 (825)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ხუთშაბათს, 11 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის აღმასკომში მოწვეულია ტფილისის საბჭოს აღმასკომის გაფართოებული სხდომა თემ-აღმასკომების თავმჯდომარეთა დასწრებით.

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა აღმშენებლობისა და სოფელში მუშაობის შესახებ.
2. კომუნალური ბანკის მოხსენება ძირითადი თანხის 1 მილიონი.
3. მიმდინარე საკითხები.

ტფილისის აღმასკომის ყველა წევრთა, კანდიდატთა და თემ-აღმასკომების თავმჯდომარეთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

პირველი ტერ-შეკრების პირველი დღეები.

დღეს იწყება 1902 წელში დაბადებულ კომპარტიის წევრების ტერ-ნაწილებში გაწვევა. 15 ივნისიდან კი გაყვანილ იქნება ამავე წლის უპარტიო ახალგაზრდობაც.

ამნაირად პირველი ტერშეკრება ფაქტიურად უკვე დაიწყო. პირველ რიგში ტერ-შეკრებაზე მიდიან კომუნისტები. ეს სავსებით გასაგებია.

წითელი ჯარის ტერ-სისტემაზე გადასვლა სრულიად ახალი საქმეა ჩვენ რესპუბლიკაში. დღემდი მხოლოდ ჩამოყალიბებულ იქმნა ტერ-ნაწილების ძირითადი აპარატი, მისი ჩონჩხი. ეხლა კი ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა--პირველი ტერ-შეკრების ჩატარება ე. ი. პირველი ცდის მოხდენა ტერ-შეკრების საბოლოო განხორციელების საქმეში.

ამ პირველ ცდისაგან, პირველი ნაბიჯისაგან ბევრათ დამოკიდებულია შემდეგი მუშაობის ნაყოფიერობა ტერ-აღმშენებლობის დარგში.

ამიტომაც ჩვენი სადღეისო ამოცანაა რაც შეიძლება მეტის წარმატებით ჩატარებულ იქმნას პირველი ტერ-შეკრება.

ამას კი ჩვენ შევძლებთ მაშინ, როცა ასეთ ფრიად დიდ მნიშვნელობის საქმის შესრულებაში უაღრესად აქტიურ და ენერგიულ მონაწილეობას მიიღებენ მთელი მშრომელთა მასა, ხელისუფლების ორგანოები და პარტია. როგორც საბჭოთა აღმშენებლობის ყოველივე დარგში, ისე ამ საქმის ნაყოფიერად გატარებაშიც პირველი და მთავარი როლი ეკუთვნის კომუნისტურ პარტიას.

აქაც კომუნისტები უნდა აღმოჩნდენ მაგალითი სხვებისთვის. აი რატომ პირველ რიგში პირველ ტერ-შეკრებაზე მიდიან 1902 წელში დაბადებული კომპარტიის წევრები.

კომუნისტური პარტია ის ძლიერი ხერხემალია, რომელზედაც დაფუძნებულია მთელი წითელი არმიის დაუძლევლობა და ფოლადისებური სიმტკიცე.

კომუნისტი წითელი არმიელები ეს მოწინავე ელემენტებია მთელი წითელ-არმიელთა მასის.

დისციპლინის გამაგრებაში, პოლიტმეცადინეობაში, სამხედრო სწავლაში, თუ ბრძოლის პირობებში კომუნისტი ყოველთვის პირველი და დანარჩენ უპარტიო ამხანაგების მაგალითი უნდა იყოს. სწორედ ასევე ახალგაზრდა კომუნისტები, რომლებიც გაწვეულნი არიან დღეს ტერნაწილში, მოვალენი არიან დაუყონებლივ გაეშურონ თავიანთ ნაწილებში და აღფრთოვანებით მიიღონ მონაწილეობა ტერსისტემის ბრწყინვალეთ დაგვირგვინების საქმეში საქართველოში.

კომუნისტ ცვალებადელნო ღირსეულად მოიხადეთ თქვენი ვალი პარტიისა და მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე!.

როგორც ერთი დაუყონებლივ გამოცხადდით თავის ნაწილებში!

კაპიტალიზმის წონასწორობა კვლავ დაირღვა.

ნაადრევი დარჩა მსოფლიო ბურჟუაზიის სიხარული მისი ბატონობის განმტკიცების შესახებ. ჯერ კიდევ ამ რამოდენიმე ხნის წინად ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ზეიმობდენ თავის სისხლიან გამარჯვებას მუშათა კლასზე. მათ ეგონათ რომ რევოლიუცია სამუდამოთ დაამარცხეს და მათ სიძლიერეს ვერაფერი ვეღარ შეარყევს.

მაგრამ მოსტყუვდენ სასტიკად.

თუ დასავლეთში რევოლიუციის ტალღა შენელდა, სამაგიეროდ ის მძლავრად ამოვარდა დაჩაგრულ აღმოსავლეთში.

რა არის ჩინეთის ამბები და მაროკოში ბრძოლა თუ არა დამონავებულ აღმოსავლეთის ომი მტაცებელ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. კაპიტალიზმმა უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა ჩაგრულთა მსოფლიო. აღმოსავლეთის მრავალ მილიონიან დამონავებულ მასების მოთმინების ფიალა აღივსო.

ამიტომაც არის რომ ეს მასა ალაპარაკდა რევოლიუციონურ ენაზე. „ძირს უცხოეთის მონობა! გაუმარჯოს თავისუფალ ჩინეთს!“ ისმის შორეულ აღმოსავლეთში.

„ჩვენ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“— ბანს ეუბნება აჯანყებული მაროკო.

და იმპერიალიზმი ელდა ნაკრავი, ფაფარაყრილი გზავნის თავის ჯარებს აჯანყებულ მონების გასაჟლეტად და გასანადგურებლად. ჩინეთისაკენ ყოველმხრიდან მიიმართებიან ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ამერიკის, იტალიის სამხედრო გემები დატვირთული იარაღით და ჯარით. მაგრამ ეს ოდნავ არ შველის იმპერიალისტებს. მოძრაობა უცხოელ მოძალადეების წინააღმდეგ უფრო და უფრო ვითარდება და ღრმავდება. ჩინელები არ იხევენ უკან!

არც მაროკოს არაბები არიან ძაბუნად!

„ჩვენ ვიბრძოლებთ მანამდი, სანამ სამუდამოთ არ გავანთავისუფლებთ ჩვენ სამშობლოსო“ ამბობენ ისინი. და სწორი უნდა ვსთქვათ რიფები ღირსეულად იცავენ თავის სიტყვას. დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ რიფებმა სასტიკი დამარცხება აგემეს საფრანგეთს.

ამრიგად ერთ მუჭა რიფებმა დაამარცხეს ძლევამოსილი საფრანგეთის ჯარი.

ეს სიმბოლიური მოვლენაა, რომელიც კაპიტალიზმის აღსასრულის მოახლოებას ღაღადებს.

აღმოსავლეთი იწყებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას.

მას ძმურ ხელს უწოდებს ევროპის პროლეტარიატი.

ამრიგად ეგრედ წოდებული კაპიტალიზმის „სტაბილიზაცია“ (წონასწორობა) მძლავრად შეირყა; დაირღვა უფრო მალე ვიდრე ჩვენ გვეგონა.

უნდა ვიფიქროთ, რომ დაირღვა სამუდამოთ და საუკუნოთ.

—მ.

ახალი რადიო-ამბები

მდგომარეობა ჩინეთში.

შანხაი ღელავს.—გაჩერებულია 50 ქარხანა.—გაფიცვები გადადის სხვადასხვა ქალაქებში.— მთელი ჩინეთი კარახანს მიმართავს.—გაფიცულია 250.000 კაცი.—

იმპერიალისტებმა გადასხეს შანხაიში 1.020 მეზღვაური.

დღემდის შანხაიში მოკლულთა რიცხვი უდრის 65-ს, მძიმედ დაჭრილია ასზე მეტი. დაპატიმრებულია რამოდენიმე ასეული კაცი.

გაფიცულია **250.000** კაცი.

შანხაი ღელავს. გაჩერებულია 50 ქარხანა.

ოთხ ივნისიდან შანხაიში შენელდა შეტაკებები. უცხოელების პოლიცია თავს დაესხა გომინდანის პარტიის შენობას და შანხაის უნივერსიტეტს. სცემეს აურება სტუდენტებს. უნივერსიტეტი დაბეჭდა უცხოელების პოლიციამ.

გაფიცვები ძლიერდება. გაჩერებულია 50 ქარხანა. ალაგ-ალაგ გაფიცულთა მაგიერ მუშაობენ შტრეიკბრეხერები (მოსყიდულები), რომელთა შორის უმეტესობა თეთრგვარდიელებია.

გაფიცვები გადადის სხვადასხვა ქალაქებში.

საპროტესტო მოძრაობა დღითი დღე იზრდება უცხოეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ. იფეთქა გაფიცვებმა ჩანშანში, ნანკინში, ნანჩანში და სხვა ქალაქებში.

მთელი ჩინეთი კარახანს მიმართავს.

როგორც დიპლომატიური კორპუსის მამასახლისი, კარახანი ღებულობს ჩინეთის ყოველ კუთხიდან პროტესტის დეპეშებს დანარჩენ სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლებზე გადასაცემად. ეს გარემოება მეტად აღიზიანებს უცხოეთის დიპლომატებს.

ბოლშევიკები კი არა, პატრიოტები.

პეკინის ეროვნულ უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც ისინი აბათილებენ მათზე წაყენებულ ბრალდებებს ბოლშევიკობაში: „ბრიტანეთის მთავრობა გამოსავალს ეძებს მდგომარეობიდან. შანხაის ამბებში დანაშაულობას თავს ახვევს ბოლშევიზმს. ჩვენ უნდა გამოვაშკარაოთ ეს ფარისევლობა.“

გრძელდება ცილისწამების კამპანია.

გრძელდება ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ეროვნულ მოძრაობის წინააღმდეგ. იმპერიალისტები ავრცელებენ ხმებს, რომ შანხაის არეულობას საფუძვლად უდევს ბოლშევიკების ფულები. ამის „დასამტკიცებლად“ იაპონიის სააგენტო აქვეყნებს ყალბ ცნობებს, თითქოს შანხაიში აღმოეჩინოთ ბომბის ქარხნები, რომ ჩინეთში შევიდა 500 შეიარაღებული სტუდენტი და სხვა.

ჩუან-ცზო ლინის პოზიცია.

ჩჟან-ცზო-ლინმა წინადადება მისცა ჩილის პროვინციის ძალებს მიიღონ გადამჭრელი ზომები სტუდენტთა მოძრაობის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ ის არ დაუშვებს არეულობას ტიან-ცზინში.

იტალიამ, ბრიტანეთმა, ამერიკამ და იაპონიამ გადასხეს შანხაიში 1.020 მეზღვაური.

4 ივნისს შანხაიში გადმოსხმულ იქნა 450 ბრიტანეთის, 210 იტალიის, 200 ამერიკის და 160 იაპონიის სამხედრო მეზღვაური.

საპროტესტო მიტინგები ლონდონში.

ლონდონში გაიმართა საპროტესტო მიტინგები ინგლისის შანხაიში მოქმედების წინააღმდეგ. მიტინგები მოწყობილ იქნა კომპარტიისა და დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მიერ.

ამერიკის პოზიცია გაურკვეველია.

ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით ამერიკის მოქმედება გაურკვეველია.

ამერიკის სენატის წრეები აღნიშნავენ, რომ ამერიკის ჯარები გამოყენებულ იქნებიან მხოლოდ ამერიკელების ინტერესების დასაცავად.

პრესის დიდი ნაწილი და საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს, რათა ამერიკა არ შეუერთდეს სხვა სახელმწიფოების ინტერვენციას. სენატორი ბორაც ამავე აზრისაა.

იმპერიალისტების შიში.

გაზ. „დეილი კრონიკლი“ განმარტავს შანხაის ამბებს და სწერს: „როგორც სჩანს დასავლეთ—ევროპის სახელმწიფოები ჰკარგავენ თავიანთ გავლენას ჩინეთში. რუსეთის გავლენა ჩვენს გავლენაზე უფრო ძლიერდება. ამიტომ რუსების პროპაგანდას უნდა დავუპირდაპიროთ სხვა პროპაგანდა.“

ნიუ-იორკში მყოფ ჩინელ სტუდენტთა სასტიკი რეზოლიუცია.

ნიუ-იორკში მყოფ ჩინეთის სტუდენტებმა გამართეს მიტინგი და გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიც ბრალს სდებენ შეერთებულ შტატებსა და სხვა სახელმწიფოებს იმაში, რომ „იმათ უსინიდისოდ გამოიყენეს შეიარაღებული ძალა უიარაღო სტუდენტებისა და მუშების დასახვრეტად შანხაიში.“ რეზოლიუცია სასტიკად გმობს სახელმწიფოების მოქმედებას ჩინეთის უფლებების დარღვევისათვის.

მაროკოს ამბები.

მტაცებლები შეთანხმდენ.

საფრანგეთი და ესპანეთი შეთანხმდა მთავარ საკითხებში მაროკოსთან დაკავშირებით. გადაწყვეტილია ექსპერტების დანიშვნა ორივე მხრიდან. კომისია მალე შეუდგება მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიფებმა სასტიკად დაამარცხეს საფრანგეთის ჯარები.

რიფებმა კვლავ დაიკავეს ბიბანი. ეს დიდ დამარცხებას მოასწავებს საფრანგეთისთვის, ვინაიდან ამ ფორტს დიდ მნიშვნელობას მიაწერდა საფრანგეთი. რიფები ენერგიულად იბრძვიან. მათ დაანგრიეს და დაატოვებინეს ფრანგებს რამოდენიმე პოზიცია უერგში.

როგორც აბდულ ქერიმის ერთი ლეიტენანტის განცხადებიდან სჩანს „რიფები ენდობიან აბდულ ქერიმს და მზად არიან შეეწირონ ტერიტორიის განთავისუფლებას. რუსეთი გათავისუფლდა მჩაგვრელებისაგან. აფრიკაც უნდა გახდეს ავტონომიური, ვერაფერი ვერ შეაჩერებს ომს, სანამ მას არ მოყვება თავისუფლება“.

იმავ დროს ესპანეთის დირექტორიის თავმჯდომარემ დერივერამ აცნობა „ფიგაროს კორესპონდენტს“‘ რომ საფრანგეთი და ესპანეთი ყოველ ზომას იხმარს, რათა საბოლოოდ დაიმორჩილონ რიფებიო.

საფრანგეთის კომუნისტები მაროკოს ომის წინააღმდეგ.

კომუნისტ ქალთა პროტესტი.

კომუნისტ ქალებმა გადასცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პროტესტი საფრანგეთის საომარ ოპერაციების წინააღმდეგ მაროკოში.

საფრანგეთის კომპარტიის ბრძოლა მაროკოს ომის წინააღმდეგ ძალიან აწუხებს საფრანგეთის მთავრობას. დააპატიმრეს კომპარტიის რამოდენიმე აქტიური წევრი. ჩამოართვეს მოწოდებები და სააგიტაციო პლაკატები. დააპატიმრეს მრავალი მუშა ომის საწინააღმდეგო მოწოდების გავრცელებისათვის.

წითელი არმია და იმპერიალისტების არმია.

ერიოს არ მოსწონს სიმართლე.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ მაროკოში კომუნისტ ბრანტონი შეეხო იმ ცუდ რეჟიმს, რომელსაც განიცდიან საფრანგეთის ჯარის ალები აფრიკაში და შეადარა მას წითელი არმიის აღმზრდელობითი რეჟიმი.

ბრანტონის გამოსვლის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა პალატის თავმჯდომარე ერიომ.

ჩვენი სამხედრო კოოპერაცია.

უკანასკნელ ყრილობის მიერ არჩეული გამგეობა უკვე შეუდგა ყრილობის მიერ მიცემულ დირექტივების გატარებას ცხოვრებაში.

მიღებულია წინასწარი ზომები ზოგიერთ დარგების გარდასაქმნელად და გასაჯანსაღებლად. ამ ჟამათ მთელი ენერგია იხარჯება იმაზედა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ძველი დავალიანებისგან თავის დახწევა. მართალია ასეთი მდგომარეობა მარტო ჩვენთან არ არის,

მაგრამ საქმის მოგვარებას და გამოსწორებას მაინც დრო და მუშაობა უნდა.

ჩვენი საქმე არც ისეა დაყენებული, რომ მან ეს ვერ შესძლოს. მხოლოთ საჭიროა ხელისუფლების ენერგიული დახმარება, რათა გადასახადის დრო იქნას გაგრძელებული. სხვა საერთო დაბრკოლებებთან ერთად კოოპერატივს შეექნა ისეთ დროს საქონელის შეძენა, რომ საქონელი დროზედ არ გაიყიდა და ზამთრის სეზონის ნაწილი საქონელი ზაფხულზედ გაუყიდელი დარჩა.

ასეთი მოვლენა ყოველთვის იქნება ვაჭრობაში.

მაგრამ შემდეგისათვის მაინც ფრთხილათ უნდა იმუშაოს კოოპერატივმა და ასეთ შეცდომას უნდა მოერიდოს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მტკივანი ადგილი ჩვენი კოოპერატივის ცხოვრებიდან. ეს არის ნისიათ წაღებული საქონლის ფულის გადაუხდელობა. ბევრს კიდეც ავიწყდება თუ მას რაიმე ვალი აქვს კოოპერატივის. ეს ამხანაგები უდიდეს ბოროტებას სჩადიან, კოოპერაციისადმი თავისი ასეთი მოპყრობით ისინი ხელს კი არ უწყობენ მას, არამედ ზიანს აყენებენ მხოლოდ და მით ხელს უშლიან მის განვითარებას.

მაგრამ გამგეობას აქაც აქვს გამოსავალი. დღეს ჩვენ გაზეთში თავსდება უკანასკნელი გაფრთხილება დავალიანებულ სამხედრო მოსამსახურეებისადმი.

გამგეობა კიდევ ერთხელ მიდის მათთან დათმობაზე და უგრძელებს ვადას. და თუ ამ ლმობიერებამაც ას გასჭრა გამგეობა მაინც მიაღწევს თავისას და სასამართლოს საშვალებით აინაზღაურებს. რაიც შეეხება ახლად დავალიანებას ნაწილებზედ. ნაწილის სამხკომმა და მეთაურმა უნდა მიიღონ ყოველივე ზომები ყოველ თვიურად დაუჭირონ ჯამაგირიდან და გადასცენ სადაც საჭიროა.

ასეთი ენერგიული ზომების მიღებით გამგეობას საშვალება მიეცემა გაცემული საქონლიდგან აღებული ფულით დროზედ გადიხადოს დავალიანება და ამ რიგათ პირნათლათ გამოვა ყველა სავაჭრო დარგებთან და ნდობაც ექნება. ამ დროთი მიღებულია მთელი რიგი ზომებისა ძველი ვალების ასაღებათ და ამ საქმეში უნდა დაგვეხმაროს ყველა ამხანაგები.

ს. ლომიძე.

წვიმები საქართველოში.

ხონის რაიონში მთელი თვის განმავლობაში გვალვები იდგა. 5-6 ივნისს მოვიდა წვიმა, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს ნათესებს.

1902 წ. დაბად, ახალწვეულ კომუნისტების ვადამდე შეკრების შესახებ.

დღეს ტერიტორ. ნაწილებში იწყება 1902 წ. დაბად. ახალწვეულ კომუნისტების ვადამდე შეკრება.

ახალწვეულ კომუნისტების შეკრების ჩატარება ტერნაწილების პოლიტმომუშავეებისთვის პირველი გამოცდაა და თავის თავად ცხადია, რომ პირველ ხანებში დეფექტებს ექნება ადგილი. ეს დეფექტები უნდა იქნეს გათვალისწინებული ნაწილების პოლიტმომუშავეების მიერ, რომ შემდეგში შეკრების ჩატარების დროს ტერნაწილების ცხოვრებაში ასეთ მოვლენებს ადგილი არ დაურჩეს.

შეკრების პირველ დღიდანვე უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ზომა, რომ ყველა ახალწვეულ კომუნისტები წერტებზე თავის დროზე გამოცხადდენ და ყოველგვარ მოწმობების და თხოვნების წარდგენას ახალწვეულების მიერ დროებით ან სავსებით განთავისუფლების მიზნით უნდა მოეღოს ბოლო.

ეს შეკრება ხდება ხუთი დღით წინ ახალწვეულების საერთო შეკრებამდე და ამ ხუთი დღის განმავლობაში ახალწვეულ კომუნისტთა შორის ტერნაწილების პოლიტმომუშავეების და პარტორგანიზაციების მიერ დიდი მუშაობა უნდა იქნეს ჩატარებული.

უპირველეს ყოვლისა ახლად მოსული კომუნისტები თანაბრად უნდა იქნენ ასეულების კომუჯრედებში განაწილებული. ამავე დროს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ამა თუ იმ ამხანაგის განვითარების და აქტივობის ხარისხი იმ მიზნით, რომ უფრო აქტიური კომუნისტები მოხვდნენ იმ კომუჯრედებში, სადაც აქამდის მომზადებულ პარტამხანაგების საკმაო რიცხვის უქონლობის გამო მუშაობა მოიკოჭლებდა.

ახალწვეულ კომუნისტების მოსვლისთანავე ზოგი კომუჯრედების საერთო შემადგენლობა საგრძნობლად გაიზრდება, რის გამო ასეთი კომუჯრედებში უნდა მოხდეს ბიუროს არჩევნები წესდების თანახმად.

ცხადია, რომ მუშაობა ამ ხუთი დღის განმავლობაში ახალწვეულ კომუნისტთა შორის უნდა ტარდებოდეს განსაკუთრებულ გეგმის მიხედვით, ხოლო ეს გეგმა უნდა შეიცავდეს კითხვების ისეთ რაოდენობას, რომლის შესრულება ყოფილიყო შესაძლებელი ასეთ მოკლე დროის განმავლობაში.

პირველად ახალწვეულ კომუნისტები უნდა გაეცნონ იმ პარტიულ და ახკომკავშირის მუშაობას, რომელიც ამ ჟამად წითელ არმიაში ტარდება. ეს უნდა მოხდეს ნაწილის კლუბის, ლენკუთხეების, ბიბლიოთეკის ცოცხალ მუშაობასთან გაცნობით და ჩვენებით. ახალწვეულებმა უნდა გაეცნონ, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში კავშირი პარტიულ ხაზით წითელ არმიის და ადგილობრივ პარტორგანიზაციათა შორის, რა მნიშვნელობა აქვს კულტშეფობას და სხვა.

ახალწვეულ კომუნისტებმა კარგად უნდა შეითვისონ წითელ-არმიელთა მასების შორის სამხედრო—პოლიტიკურ მუშაობის ძირითადი პრინციპები და აგრეთვე ის, თუ როგორ ტარდება ეს მუშაობა, როგორც შეკრების დროს, ისე მის გარეშე ცვალებად წითელარმიელთა შორის.

ახალწვეულ კომუნისტების კრებებზე უნდა იქნეს დამუშავებული დანარჩენ ახალწვეულების შეკრების დროს პარტპოლიტსაგანმანათლებელ მუშაობის გეგმა. აგრეთვე ისმებოდეს კითხვები ტერნაწილის პოლიტიკურ—მორალურ მდგომარეობის შესახებ.

მუშაობის გეგმის დამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ახალწვეულ კომუნისტთა შორის პარტმოვალეობების განაწილებისთვის. პარტმოვალეობების განაწილების მიზანია ის, რომ ყოველმა პარტიულმა ახალწვეულმა იცოდეს თავის ადგილი და თავის მუშაობის ხასიათი მომავალ საერთო შეკრების ჩატარების დროს.

როგორც ვიცით დისციპლინის განმტკიცების საკითხი მთელ თავის სიგრძე—სიგანით წამოიჭრა წითელ-არმიის წინაშე. ამისათვის არის საჭირო, რომ ახალწვეულ კომუნისტებმა პირველ რიგშივე სამხედრო დისციპლინის ძირითადი პრინციპები შეითვისონ. მტკიცე დისციპლინისგან დამოკიდებულია საერთო შეკრების წარჩინებით ჩატარება, რაც ტერნაწილების ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ი. რუდოვსკი.

სამხედრო საქმე

საზაფხულო სწავლებისათვის.

IV ათეულისა და ოცეულის საბრძოლო მომზადება.

გასულ წერილებში ჩვენ თითქმის სავსებით ამოვწურეთ, თუ რაში მდგომარეობს ათეულისა და ოცეულის საბრძოლო მომზადება ლაშქრული წესით მოძრაობისა და დასვენების დროს.

ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ რისაგან შესდგება **შეტევითი ბრძოლა.**

შეტევითი ბრძოლას აქვს მთელი რიგი მომენტებისა, რომლებიც აუცილებლად დამუშავებულ უნდა იქნან როგორც ათეულში, ისე ოცეულში. ასეთი მომენტებია: 1) საბრძოლო ამოცანა და მისი შეთვისება მეომრების მიერ, 2) ათეულის მუშაობა პირველი ცეცხლის ზღვარის დაჭერის დროს, აქედან ცეცხლის გახსნა და წარმოება, 3) ცეცხლის ერთი ზღვარიდან მეორემდე გადასვლის წეს-რიგი, 4) ცეცხლის უკანასკნელი ზღვარის დაკავება; ცეცხლი; იერიშის წარმოება და მტერზე დადევნება, 5) რაში გამოიხატება გრანატმტყორცნელთა მუშაობა ბრძოლის ამ პერიოდში, 6) ადგილთან შეგუება, შენიღბვა და ხანდაკობა, 7) ბრძოლა მომწამვლელ ნივთიერებათა წინააღმდეგ, 8) მეომართა მუშაობა ბრძოლის ველზე თვალთვალის საქმეში, 9) ერთი ათეულის მეორესთან კავშირის საშუალებანი, და 10) გრანატების, ვაზნების მარაგის შევსება და სხვა.

ყველა ჩამოთვლილი მომენტები თანდათანობითი წესით უნდა იქნას დამუშავებული ათეულისა და ოცეულის მიერ. ამას მოუნდება 3-4 მეცადინეობა; ეს მეცადინეობანი უნდა წარმოადგენდენ ერთი-მეორის გაგრძელებას; ყოველი მეცადინეობის დასრულების შემდეგ უნდა აღინიშნოს, თუ სად იქნა შეჩერებული მეცადინეობა და მეორე დღეს კი უნდა დაიწყოს იმ ადგილიდან, სადაც შეჩერებულ იქნა ის წინა დღით.

მუხლი 1-ლი საბრძოლო ამოცანა და მეომრის მიერ მისი შეთვისება შემოწმებულ უნდა იქნას პირველი მეცადინეობის დროს. ამასთან უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ამოცანის მტკიცედ და შეგნებულად გაგებას, რომელიც დავალებული აქვს ათეულს, ოცეულსა და ასეულს. აქ არა ერთხელ უნდა მისცე მეომრებს კითხვა იმ ამოცანის შინაარსისა და იმის შესახებ თუ რა უნდა აკეთონ მეომრებმა მიცემულ ამოცანის შესრულების დროს.

ათეულის მუშაობა ცეცხლის პირველი ზღვარის დაჭერამდე (მიახლოება) უნდა გამოიხატებოდეს მანევრებში მტრის ტყვიამფრქვევების ცეცხლის ქვეშ. მტერი შეეცდება ისარგებლოს ყოველ ხელმისაწვდომ საშუალებით, რათა აიძულოს ოცეულს გაიყოს ათეულებად, სადაც ოცეულის ხელმძღვანელობა ძნელი ხდება და მოძრაობა ნელდება.

ათეულების ამოცანა უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება ჩქარა და ფარულად მიაღწიონ ცეცხლის პირველ ზღვრამდი. ამისათვის მოუხდებათ შეიცვალონ მიმართულება, ისარგებლონ მოფარებული ადგილებით (დრეებით, თხრილებით და სხვა). ათეულის შესვენება, მოძრაობის ახალი წესრიგის დასახვა შეიძლება ყოველთვის და მტრის ტყვიას მოფარებულ ადგილზე.

ამ შესვენების დროს არავითარ სროლას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ეს იწვევს მოძრაობაში დაბრკოლებას, რაც უსათუოდ ხელსაყრელია მტრისთვის.

ამ დროს უნდა იყოს ერთი მისწრაფება—რაც შეიძლება ჩქარა მიაღწიონ მეომრებმა აღნიშნულ პირველ ცეცხლის ზღვრამდი.

ი. ბარ.

შენიღბვის სწავლება ნიღაბმანევრის გამოცდილების მიხედვით.

V. შეტევითი ბრძოლა.

შეტევითი ბრძოლის დროს მთავარი ისაა, რომ შეცდომაში შეიყვანო მტერი და მოატყუილო ის შენს განზრახვებში. ჩვენ ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ მტერი ვერ მიხვდეს, თუ როდის და რა ძალებით დავიწყებთ შეტევას და, რაც მთავარია, რა ალაგას დავესხმით ჩვენ მტერს. რომ წარმატებით ავასრულოთ ეს ამოცანა, უნდა დავფაროთ მტრისაგან ჩვენი ძალები და ამასთან ვაწარმოოთ ზოგიერთ უბნებში ისეთი მოქმედება, რომელიც დაარწმუნებს მტერს, რომ თითქოს აქეთ ჰყოს მიმართული ჩვენი მთავარი ძალა.

გასული წლის ნიღაბ-მანევრებზე ხმარებულ იქნა შენიღბვის მრავალი სახე. პირველ ყოვლისა ადგილ—მდებარეობასთან შეგუება—მოძრაობა ბუჩქებით, ღრეებით, ერთი საფარიდან მეორემდე სწრაფი გადარბენა—ყოველივე ამან მოგვცა საუკეთესო შედეგები, მაგრამ ასეთი შენიღბვა შესაძლებელია მხოლოდ საბრძოლოდ გაშლის დროს. ამ მანევრებზე მსროლელები გამოწყობილი იყვნენ მწვანე დოლბანდის თუ ნარმის ნიღაბ—ხალათებში; ხალიჩების ნიღაბ—მოსასხამებში; ტყვიამფრქვევები დაფარული იყო ლურჯი დოლბანდით და სხვა. მაგრამ ყველა ამ საშუალებათა ხმარება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ტანისამოსის ფერი შეეფერება გარემოს და არ განირჩევა მის ფერისაგან.

ნიღაბ-მანევრებზე შემჩნეული იყო ისეთი შემთხვევები, როცა მწვანე ხალათებში გამოწყობილი მეომრები წვებოდენ გადარბენის დროს ყვითელ ყანებში, რაიც მათ მოძრაობას მყისვე ამჟღავნებდა.

არტილერიის შენიღბვა სწარმოებდა იმ გვარად, როგორც მოგერიებით ბრძოლის დროს.

საერთოდ მანევრმა გვიჩვენა, რომ შენიღბვა უმთავრესი საშუალებაა ბრძოლაში, მით უმეტეს ჰაერის მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. შენიღბვის ხმარება ისეთივე აუცილებელია ყველასათვის, როგორც მაგ. ცეცხლის თავის დროზე და მოხდენილი წარმოება. ბუნებრივი შენიღბვა უბრალო და ხელმისაწვდომია საბრძოლო გარემოების ყოველგვარ პირობებში. ტექნიკური შენიღბვა კი—მეტად სასარგებლო და აუცილებელი დამატებაა ბუნებრივ შენიღბვის საშუალებებისა.

ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ტერ-ნაწილებში.

ომგვეცით სინათლე და ფეხსაცმელების მაზი.

5-თე ლეგ. საკომენდანტო ოცეული.

თითქმის სამი კვირაა მას შემდეგ, რაც ჩვენი ოცეულის ენინის კუთხეში არ არის სინათლე.

სამი კვირის განმავლობაში მოკლებული ვართ ღამით ამე წაკითხვის საშუალებას კუთხეში. დღე კი ხშირად არა ცალია.

კარგი იქნება გამოასწორებდენ ამ ნაკლს, თორემ ლე- ნის კუთხეც კარგავს თავის მნიშვნელობას.

ამას გარდა ოცეულში არა გვაქვს მაზი ფეხსაცმელები- თვის. ზოგიერთი არმიელები ამის გამო თოფის ზეთით მენდენ ფეხსაცმელებს, რაც სწვავს და აფუჭებს მათ. ამნაი- ად უბრალო რამის უქონლობით ნიავდება ამოდენი ღირე- ლების სახაზინო ქონება.

ოცეულის მეთაურმა დროა ყურადღება მიაქციოს ამ ვლენას და იხსნას განადგურებიდან სახაზინო ქონება.

სამხკორი ტრაქტორი.

აგუშაგოზე უსინათლობა დაუშვებელია.

მეხუთე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის უმწყობროთა საყარაულოზე ძლიერ ირს მოვალეობის შესრულება. საგუშაგოზე არ არის განა- ება. ამის გამო შეფერხებულია გუშაგების წესიერად გამოც- ის წესი. წუმწუმის ანთება კი აკრძალულია, რადგან ვგუ- გობთ დენთსაწყობს.

ამის შესახებ არა ერთხელ და ორხელ ყოფილა აღნიშ- ლი ჩვენი კედლის გაზეთში, მაგრამ ყურადღება არავის არ უქცევია.

დროა ბოლო მოეღოს ამ დაუდევრობას, სანამ რაიმე ფათი ჯერ კიდევ არ შეგვყრია. გაგვინათეთ საგუშაგოები.

სამხკორი ზ—ცა.

ჩვენი ფიზ-კულტურა.

მე-6-ე ლეგიონი.

ლეგიონის კლუბთან არსებული სპორტწრე, თავის ხელ- ღვანელი სამეულის ენერგიული საქმიანობით სასურველ ონეზე სდგას. დღემდე წრეში ჩაბმული იყო ლეგიონის მცი- შემადგენლობა. ამ უკანასკნელ ხანებში მას მიემატა ახალ- ეულთა საგრძნობი ნაწილიც, რამაც ძლიერ გამოაცოცხლა შაობა.

წრეში ხშირი ხასიათი მიეცა ფიზკულტურიდან სხვა და ვა ხასიათის მოხსენებების გაკეთებას. შეძენილ იქნა შეძლე- სდაგვარათ სპეც ტანსაცმელები—მაგრამ აუცილებელ სა- როებას წარმოადგენს სხვა ტეხნიკურ საშვალებებით უზრუ- ელყოფა.

31 მაისს კლუბის დარბაზში სპორტ სამეულის მიერ გა- თებული იქნა მოხსენებები მეტად მნიშვნელოვან თემებზე. ლწვეულები აქტიურს მონაწილეობას ღებულობდენ წრის ლმძღვანელებისადმი მიცემულ შეკითხვებით.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა ვარჯიშობა-შეჯიბრებანი. ბოლოს მოვარჯიშე წითელ-არმიელთა შემადგენლობა ყოფილ იქნა ორ განწევრად და ჩატარდა ფეხ-ბურთის თა- ში.

ვ. ლორთქიფანიძე.

აკლუბო მუშაობა მოისუსტებს.

4-ე ლეგიონი.

ერთი თვის წინად ჩვენს ლეგიონში საკლუბო მუშაობა რგად მიმდინარეობდა.

კლუბთან არსებობდა რამოდენიმე წრეები; ყველაში სისტე- ტიურად სწარმოებდა მეცადინეობა. კვირაში ორჯერ და ერთ- ლ მაინც ყოველთვის იდგმებოდა წარმოდგენები, გამოდიოდა ველ კვირეული კედლის გაზეთი, ლიტ-გასამართლებები ირად იმართებოდა, ასეულებში და ლენოთახში იმართებო- ა საუბარი და ხმამაღალი კითხვა.

დღეს ყველა ესენი ერთბაშად მოისპო, და თან გაიყოლა ელმა კლუბის უფროსმა.

საკლუბო დარგში დღეს არ კეთდება ერთი მეათედი ისა, რაც წინად კეთდებოდა.

ლეგიონში თვენახევრის განმავლობაში არ გამოსულა დლის გაზეთი, და არ სწარმოებს მეცადინეობა სპორტწრეში, უხედავათ იმისა რომ სამნეო ნაწილმა ყველაფრით დაგვა- აყოფილა.

ყაზარმებს მიუჩვეველ ახალწვეულებთან, ეხლა უნდა სწა- როებდეს გაცხოველებული მუშაობა, რადგან მათი გონება ერ კიდევ ვერ გასცილებია ოჯახურ-სოფლურ მუშაობის ქრებს. 15 ივნისიდან კიდევ მოველით 1902 წელში დაბა- ბულებს, რომელთა შესახვედრად კლუბი გაცხოველებული ნდა ემზადებოდეს.

მაგრამ სამწუხაროდ ეს არ ხდება.

მარტო ერთი ბიბლიოთეკა ვერ დააკმაყოფილებს წიგნების თხვით ახალწვეულებს. სხვაშიდაც უნდა სწარმოებდეს მუშა- ბა რომ შევაყვაროთ სტუმრებს წ. ყაზარმა.

ახალო კლუბის უფროსო, გამოიჩინეთ ინიციატივა და უშაობა ჩვენ გვკითხე.

წით. არმიელი გულნატკენი.

ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

დავეხმაროთ გლეხობას მიწების დამუშავებაშიდაც.

(ქართ. მეთ. სკოლა.)

ბანაკში ჩამოსვლის შემდეგ ბიურო კოლექტივმა მიზნად დაისახა მჭიდრო კავშირი დაეკავებია № რაიონის გლეხობასთან, რისთვისაც თითეული უჯრედიდან გამოყო სათანადო კომისია.

ამასთანავე ერთად ყოველ კვირაობით ქართული, 21 სკოლის, სომხეთის და ადერბეიჯანის სამხ. სკოლების თითო ასეულები, რამდენიმე ხელმძღვანელებით და სამხ. ორკესტრით მიდიან სოფლებში, ახდენენ გლეხებთან ერთად კრებებს, აცნობენ მათ საბჭოთა მთავრობის აღმშენებლობას და წითელი-ჯარის ყოფა ცხოვრებას.

სოფლის გლეხობა და გლეხი ქალები აღფრთოვანებით ეგებებიან ჩვენს მისვლას, იძლევიან ამ კრებებზე მრავალ შეკითხვებს და სხვა.

ჩვენს ბანაკს ირგვლივ არტყია მრავალი სოფლები, რომლის მცხოვრებთა საქმიანობას შეადგენს მიწის დამუშავება. მათში ბევრია ქვრივ ობლები და ღარიბი გლეხები. ჩვენ არ დავიზარებდით მათი ყანების დამუშავებას, რომ ამისთვის სათანადო ხელმძღვანელობას გაგვიწევდენ ჩვენი უფროსები.

ჩვენი სკოლის კურსანტთა უმრავლესობას შეადგენს გლეხის შვილები, რომლებმაც კარგათ იციან ყანებში მუშაობა.

ჩვენი მოვალეობაა, დავეხმაროთ ქვრივ-ობლებს და ღარიბ გლეხობას.

სამხკორი: ზ. ჯაში.

ჩვენი სამხკორები სამუშაოზე.

სამხკორთა წრის მუშაობა 1-ლ ქ. მსრ. ლეგიონში.

ჩვენს ნაწილში თავიდანვე ქონდა ყურადღება მიქცეული სამხკორთა მოძრაობას, მაგრამ სხვა და სხვა ტეხნიკური დაბრკოლებისა და სახელმძღვანელოების უქონლობის გამოის ვერ იყო კარგ დონეზე დაყენებული. მაგრამ ამ რამოდენიმე თვის წინად მუშაობამ სამხკორებთან ფართე ხასიათი მიიღო, რასაც ხელი შეუწყო გაზ. „წითელი არმიელი“-ს რედაქციიდან მიღებულ სახელმძღვანელოებმა.

ეხლა ლეგიონში უკვე ჩამოყალიბებულია სამხკორთა წრე, რომელიც მეცადინეობს სისტემატიურად. წრეს ხელმძღვანელობას უწევენ წრის ბიურო, ბიურ კოლექტივი და კლუბი. მათი ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

წრის მეცადინეობაზე ესწრებიან დაინტერესებული წითელ-არმიელები და სამხკორები ნაწილის ყველა ასეულებიდან და დაწესებულებებიდან. გარდა ამ მეცადინეობისა ასეულებში იმართება საუბრები წითელ-არმიელთა მასაში სამხკორთა მოძრაობაზე, რამაც გამოიწვია მეტი ხალისი და მიიზიდა ფართო წითელ-არმიელთა მასა. წრეში თანდათანობით ეწერებიან სამხკორებათ, რომლებთანაც სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა.

კარგმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო და ლეგიონს მისცა მრავალი სამხკორები, რომლებიც საკმაოთ აშუქებენ ლეგიონის საჭირ-ბოროტო საკითხებს. გარდა ამისა ლეგიონში წინეთ ადგილი ქონდა სამხკორების ათვალწუნებას, მაგრამ სამხკომისა და ბიურო კოლექტივის მიერ ზომების მიღების შემდეგ ამას ბოლო მოეღო.

ამ საზაფხულო პერიოდში გავდივართ საზამთრო პერიოდის პროგრამას, რადგან პროგრამა მიღებულ იქნა დაგვიანებით. უსურვებთ ყველა წითელ არმიელებს და უფ-პოლიტშემადგენლობას მიეღოთ მონაწილეობა სამხკორთა მუშაობაში და მით გამხდარიყონ აქტიური სამხკორები ჩვენი წრისა, რითაც ჩვენ შევსძლებთ გამოვასწოროთ ნაწილის ყოველივე ნაკლულევანებანი.

სამხკორი მარკოლ.

ძვირფასი სტუმარი.

ცხენ. ლეგ. სამნეო ჯგუფი.

ჩვენი ლეგიონის სამნეო ჯგუფის ერთ წითელ არმიელს თიანეთის მაზრიდან ეწვია სანახავად მამა. სოფლელი გლეხის სტუმრობამ ძლიერ ასიამოვნა ყველა წითელი მოლაშქრეები. შამოვეხვიეთ გარშემო და დაუწყეთ გამოკითხვა სოფლის ცხოვრების შესახებ. იგიც დაუზარებლივ—ხალისიანად გვიამბობდა, თუ ჩვენმა მუშურ-გლეხურ მთავრობამ როგორ გაუხსნა კოოპერატივი გლეხებს და იაფ ფასებში აწვდის საჭირო საქონელს.

—შვილებო, დიდ დახმარებას გვიწევს მთავრობა დიდს, ხვნა თესვის საქმეში. მოიტანეს რაღაც ტრაქტორებიც და სულ ერთიანად გადავატრიალეთ მიწები.“

ძიამ გვიამბო, რომ ტრაქტორით მოხნულ მიწაში 3 მანეთს გვახდევინებს მთავრობა და იგიც ოთხი თვის განმავლობაშიო და დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდა.

არმიელები ძლიერ გაახარა ამ ამბავმა. ტრაქტორზე მუშაობის სურვილმა ყველა გაიტაცა.

ძიას, ასე უძახოდით გლეხს, დავათვალიერებიეთ ჩვენი საცხოვრებელი ბინები, კლუბი, ლენინის კუთხეები და სხვა.

მეორე დღეს ძია შევიყვანეთ პოლიტსაათზე. ის დიდი გულმოდგინებით უსმენდა საუბარს, ხოლო შემდეგ თითონვე მოგვიყვა გლეხობის თავგადასავალს ძველი—დამქაშების ხელისუფლების დროიდან და მოგვიწოდა მთელი ჩვენი არსებით მოგვეკიდა ხელი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველსაყოფად.

არმიელებმა მხურვალე ოვაციები გაუმართეს ძიას და ხელში აყვანილი დაატარებდენ.

დ. ზეფრაშვილი.

ნეტავ, როდის გვაღირსებენ!

აგერ თითქმის ორი თვეა მას შემდეგ, რაც, რომ ჩვენი 1-ლი ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობაზე იყო გამოწერილი ტანისამოსი: შარვალი და ხალათები. ხალათები მივიღეთ შესაკერავი, მაგრამ შარვლები კი აღარ გვაღირსეს.

ზოგიერთ უფ-პოლიტ-შემადგენლობას არც საზამთრო შარვლები მიგვიღია და ეხლა კი საზაფხულოსაც აღარ გვა-

ექსკურსია ალგეთის ხეობაში.

სამხედრო პოლიტსკოლა.

ჩამოვედით თუ არა საზანაკოთ, უპირველეს ყოვლისა შეუდექით მისი მიდამოების შესწავლას და გაცნობას... ამას ხელს უწყობს ადგილმდებარეობის სილამაზე, მომაჯადოებელი, მაღალი, ტყით დაბურული მთები და ფიჭვნარი... ამინდებიც საუცხოვოა... წინასწარ დათვალიერების შემდეგ, 26 მაისს მეთაურები და კურსანტთა შემადგენლობა გავეშურეთ მდინარე ალგეთის ხეობისაკენ, რომელიც ჩვენგან, რაღაც ერთი თუ ორი ვერსითაა დაცილებული. გავედით ფიჭვნარში, დავეშვით თავქვე მშვენიერ მინდვრებზე... პირდაპირ მოსჩანს ტყით შებურული მთა კლდოვან ნაპრალებით... სკოლა ხალისით მიყვება მიხვეულ ბილიკებს და მალე ალგეთის ნაპირას ჩავედით... ეს პატარა მთის მდინარე, ლამაზათ მიშხუის და მიიკლაკნება ზღაპრულ სილამაზით აღსავსე ხევში.

გავედით გაღმა და შეუყევით მოპირდაპირე მთის კალთას.

მალე დავინახეთ უზარმაზარი კლდის ქანი, რომელშიდაც შეჭრილი იყო ბილიკი. ჩვენც ავყევით მას და ცოტა ხნის შემდეგ გავჩნდით ერთ ძველისძველ გამოქვაბულში, რომლის კედლების სამი მეოთხედი ბუნებრივი კლდეა და მხოლოდ ერთი მხრივ აქვს ხელოვნური კედელი. ეტყობა რომ ესეც მეტათ ძველია... გამოქვაბულში ზემოთ მიდის ვიწრო ხვრელი, რომლის სიგანე ერთ არშინს არ აღემატება; მასაც ეტყობა მზრუნველი ხელი; მის წიბურებზე, კიბისებური ნაჭდებია ამოკვეთილი.

უამისოთ ამ ხვრელში გავლა შეუძლებელი იქნებოდა... მეტათ დაინტერესდენ ყველანი თუ რა იქნებოდა ამის შემდეგ და მიუხედავათ იმისა, რომ ხვრელამდე ასასვლელ ბილიკზე გავლა არც ისე იოლი იყო, და ერთგვარ გაბედულებასაც მოითხოვდა-კურსანტები თამამათ აცოცდენ მასზე... მეცლით ვიფოფხეთ ხვრელში და გავედით მაღლა, ახალ გამოქვაბულში; აქ უკვე წყდება გზა... ირგვლივ მხოლოთ სიპი ქვის კედლებია, მხოლოთ სამხრეთით-გამოქვაბულს აქვს ორი ფართო ფანჯრისებური სარკმელი გამოტეხილი, საიდანაც სინათლე შემოდის... ამ ფანჯრიდან მოჩანს სამხრეთით მანგლისის ლამაზი ბორცვები და ქვემოთ კი, უფსკრულში გველივით მიიკლაკნება და მიშხუის მდინარე ალგეთი თავის კლდოვან კალაპოტში.

ვინ იცის, ვისმა მზრუნველმა ხელმა შეკვეთა ხვრელი ამ უზარმაზარ კლდეში... ვინ იცის, რა დიდი გაჭირვება უნდა გამოევლო ხალხს, რომ თავის დასაფარავათ ასეთ მიუვალ ხევებსა და კლდეებში შეეხიზნა თავი... კურსანტები გაფაციცებით ათვალიერებენ ყველაფერს და თან უკვირთ... უკვირთ თანამედროვე ხანის შვილთ, თავიანთ წინაპართა გატანჯულ ცხოვრების სურათების ხილვა, როცა მეფე-მთავრთა ურთიერთ შორის მტრობით ან უცხოტომთა შემოსევით, როგორ ნადგურდებოდა ხალხის ავლადიდება და ადამიანი მხეცს ემსგავსებოდა-კლდეში შეხიზნული.

გამოქვაბულის ქვემოთ არის ციხე კოშკების ნანგრევები ხშირათ შეჩუქურთუმებულიც...

ექსკურსიას თან ახლდა საუბარიც და მეტათ სასურველი შთაბეჭდილება დატოვა კურსანტებზე... საერთოთ ეს რაიონი მეტათ მდიდარია სიძველეებითა და სასურველი და საჭიროცაა მისი მთლიანი დათვალიერება—აღწერა.

მალე, ისევ ყველანი, ორგანიზაციულათ გავეშურებით მანგლისის ძველის ძველ ტაძრის დასათვალიერებლათ, რომელიც შესანიშნავია თავისი სტილით, გარეგნობით და წარწერებით...

გრ. შავგულიძე.

ძლევენ, ყოველ დღე გვეუბნებიან ხვალ-დღეს და ასე ამ მოლოდინში ვიმყოფებით უშარვლოთ.

ვერ გაგვიგია, რა დავაშავეთ ჩვენ რომ არც საზამთრო და არც საზაფხულო შარვლებს არ გვაძლევენ. ლეგიონზე ესენი უკვე გამოწერილია და საჭიროა მისი მიღება და დარიგება.

ვთხოვთ ამ გარამოებას მიაქციონ ყურადღება არმიისა და დივიზიის მომარაგების უფროსებმა და მიიღონ ზომები, რომ ჩვენც მოგვეცეს ტანთსაცმელები.

სამხკორი **ტოროლა.**

მოგვეცით კარგი თარჯიმანი.

მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.

ჩვენს სკოლას შტატით 9 თუ 10 თარჯიმანი ეკუთვნის; ნამდვილად კი არც ერთი ხეირიანი თარჯიმანი არა ყავს!..

ყოველი გაკვეთილი, ინსტრუქცია-დადგენილებები (და ლოზუნგებიც კი) ითარგმნება დამახინჯებული ენით.

ამას შარშანაც მიაქციეს ყურადღება, მაგრამ გამოსწორებით კი ჯერაც არ გამოსწორებულა და მრავალი შეცდომა მეორდება სხვა და სხვა ადგილას (სამკითხველო, კლუბი, სამოსწ. ნაწ.)

...ყველა თავის ადგილზე უნდა იყოს და ყველას განსაზღვრული და შესაფერი სამუშაოც უნდა ჰქონდეს.

მხოლოდ ამით შეიძლება ნაწილის მუშაობის განაყოფიერება.

დროა სკოლას მიეცეს კარგი და მცოდნე თარჯიმანი.

სამხკორი **ჩვენი.**

ტრამვაი ტფილის-კოჯორს შორის

ინჟენერთა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც შემდგარი იყო ტფილისის აღმასკომთან, ტფილის-კოჯორის ტრამვაის გასაყვანათ შედგენილ პროექტების განსახილველათ, განიხილეს ყველა პროექტები. კომისიებში შედიოდენ ინჟენერები: ქიქინაძე, მიქელაძე, აბაშიძე და ხაჩატუროვი. კომისიების სხდომებს დაესწრო აგრეთვე ელექტრონული ტრესტის ცენტრალური რაიონის წარმომადგენელი.

კომისიამ მიზანშეწონილათ აღიარა მესამე ვარიანტით გზის გაყვანა (ვაკე-წყნეთი-კიკეთი-კოჯორი).

კომისიამ დაადგინა გზის გასაყვანათ მუშაობის დაწყების საკითხი გადაიტანოს ტფილისის აღმასკომის საგეგმო კომისიაში, სადაც დამტკიცებული იქნება აგრეთვე აღნიშნული ვარიანტი.

დ.

ამბები სოფლებიდან.

საპნის ქარხანა.

შორაპნის სამაზრო გლეხკომს განზრახული აქვს მომავლისათვის გახსნას ჭიათურაში საპნის სახდელი ქარხანა.

იურიდიული დახმარება გლეხებს.

აპრილ—მაისის განმავლობაში საჩხერის წერითი დამხმარე ბიურომ იურიდიული დახმარება აღმოუჩინა 315 გლეხს.

ბრძოლა კონტრაბანდასთან.

კონტრაბანდასთან ბრძოლის გასაცხოველებლათ აჭარის სახ. კომის. საბჭომ დაარსა განსაკუთრებული ხუთეულები.

გაზეთები ქოხ-სამკითხველოებს.

შორაპნის მაზრის 36 სოფლის ქოხ სამკითხველოს, ადგილობრივმა გლეხკომებმა გამოუწერეს გაზეთები.

შენაერთის დახურვა.

ზესტაფონში დაიხურა ინვალიდთა შენაერთი „თვითმოქმედება“.

დოლი სენაკში.

ცხენთა საჯიშოების სამმართველომ დაადგინა 20 ივნისს სენაკში მოაწყოს დოლი (მარულა).

ახალი ამბები.

— **გამოცდები უნივერსიტეტში შესასვლელათ.** პროფ-განათლების მთავარ მმართველობამ დანიშნა გამოცდები, საქ. უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელ მსურველთათვის, ზოგიერთ საგნებში.

— **მეძროხეობა-მერძევეობის სკოლა.** განათლების კომისარიატი დუშეთში ხსნის წველა-ღვების სკოლას, სადაც მოწაფეები შეისწავლიან კარაქის დამზადებას.

— **ჭაობიანი ადგილები.** საქ. წყალთა მეურნ. სამმართვ. ცნობით მთელ საქართველოში 6 მილიონ დესეტინა მიწიდან ნახევარი მილიონი ჭაობიანი ადგილებია.

—**საზოგადოებრივი სამუშაო** საქ. სახელმწ. საგეგმო კომისიის წინადადებით მიწ.-მოქმ. კომისარიატი იმუშავებს ტყის საკულტურო საქმეში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობ გეგმას.

— **ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა.** ამ. კავკასიის აღმოსავლეთის სავაჭრო პალატა აწარმოებს წინასწარ მუშაობას ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის მონაწილეთა გამოსარკვევათ, შემოსატან საქონლის რაოდენობის შესახებ და სხვა.

— **მეორე დივიზიის პოლიტგანყოფილება** იმუშავებს, ქოხ-სამკითხველოებთან სამხედრო კუთხეების მოწყობის დებულების პროექტს.

— **მორწყვა.** ამჟამად საქართველოში სწარმოებს მუშაობა 7 არხის გასაყვანათ, რომელთა საერთო სიგრძე უდრის 107 ვერს და მორწყავს 39.200 დესეტ. სახნავ მიწას.

— **კურორტი „შოვი-“ს მოსაწყობათ,** ტფილისის საბირჟო კომიტეტმა გადასცა კურორტის საალმშენებლო კომიტეტს 1000 მანეთი.

რადიოს მოყვარულთა კუთხე.

ახალი ანტენა.

ახალი სახის ანტენა, რომელიც შემოღებული იქნა ამ უკანასკნელ ხანებში, ძლიერ ხელსაყრელია დიდ ქალაქებში მოსახმარად. ის წარმოადგენს ორ ჯვარედინად გადაჭდობილ ხის ჯოხებს (1-2 მტერის სიგრძე), რომლებზედაც მიმაგრებულია სპილენძის მავთულისაგან დამზადებული ორი რგოლის სისტემა.

რგოლები შეკავშირებული არიან ერთმანეთთან რამოდენიმე ადგილზე (ერთი რგოლი დაცილებულია მეორიდან 40 სანტიმეტრის მანძილით). რგოლზე დახვეულია წვრილი გაწმენდილი მავთული, შემდეგ ყველა ეს კი დაყრდნობილ მიმაგრებულია ექვსი მეტრის სიმაღლის ჯოხზე.

ასეთი სისტემის ანტენიდან იმ ოთახში, სადაც მოთავსებულია მიმღები რადიო სადგური მიემართება სპილენძის მავთული.

ჯოხი, რომელიც უმთავრეს როლს თამაშობს ანტენაში რაც შეიძლება მაგრად უნდა იქნეს დასობილი სახლის სახურავზე უკეთესი იქნება, რომ მას მივამაგრებდეთ სახლის სახურავზე საკვამლე ბუხრებზე ორი დასაყრდენით. პირველს-ქვედა დასაყრდენს თავისუფლად უნდა შეეძლოს ტრიალი (შრნირია), ხოლო ზედას კი არა. ის ამაგრებს ანტენას.

ანტენის ბადია ადიდებს მხოლოდ შემცველობას. მისი დამზადება ყოველგვარი სიძნელის გარეშე შეუძლია თითეულ რადიო მოყვარულს.

ასეთი ანტენის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ **ერთდაიმავე სახლზე შეიძლება რამოდენიმე ასეთი სისტემის ანტენის მოწყობა. ისინი სრულიად არ შეუშლიან ერთმანეთს ხელს.** მაგრამ ამასთანვე ერთად აქვს ერთი დეფექტიც. მსგავსი სისტემის ანტენებს ბგერების ცოტა გაურკვევლობა ახასიათებთ.

კონკურსი რადიო დრამაზე.

დრამების რადიოს საშვალებით გადაცემის შესაძლებლობის გამო, ერთ ერთ ბელგიურ ჟურნალმა „რადიო ყველასათვის“, გამოაქვეყნა კონკურსი საუკეთესო რადიო დრამაზე.

კონკურსის პირობებია: პიესა უნდა გამოდგეს ბრმებისათვის. ის ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ „ბრმამ“ მისი მოსმენის დროს უნდა წარმოიდგინოს თავი იმ გარემოებაში, რომელშიდაც მიმდინარეობს მოქმედება. ამნაირად მათ საშვალება ექნებათ სრულიად შეიგრძნონ როლების შემსრულებლები და სხვა.

სხვანაირად, „რადიო დრამის“ მოსმენის დროს მაყურებელს უნდა შეეძლოს იმის გაგება რაზედაც მიუთითებენ მსახიობები.

ავტორს ნება ეძლევა ისარგებლოს ხმაურით (წვიმა, ქარი) და მუსიკითაც.

მეცნიერება და ტეხნიკა

მთვარეზე გაფრენის გარშემო.

ჩვენ თავის დროზე გვქონდა მოთავსებული ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკელი პროფესორი გოდარდი ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში აპირებდა მთვარეზე რაკეტის გაშვებას, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგანაც მას არ ეყო ფული მის მოსათავებლად. პროფესორი ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ მიმდინარე წლის ზაფხულშიმაინც მოიყვანოს სისრულეში თავისი პროექტი.

ჯერ-ჯერობით რაკეტა გაუმჯობესებული იქნა ინჟ. ცანდერის მიერ. მან გაუკეთა რაკეტას ფრთები, რომლებიც დიდეს როლს ითამაშებენ მთვარეზე მისი გადასროლის დროს.

გაფრენის მთელი პროცესი უნდა მოხდეს შემდეგი წესით: რაკეტას შეკეცილი ფრთებით აიტანს 10 კილომეტრის სიმაღლეზე ორი დიდი დირიჟაბლი. ამ სიმაღლეზე ჰაერი 14-ჯერ უფრო გათხელებულია. რაკეტა იმიტომ ააქვთ ასეთ სიმაღლეზე რომ გაუადვილონ მას მიწის ატმოსფერაში თავისუფალი გავლა. ასეთი სიმაღლეზე ატანის შემდეგ რაკეტაში ხდება უკვამლო წამლის აფეთქება. რაკეტის მოძრაობის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ რომ როდესაც დენთის გაზები ძლიერი სისწრაფით გადის გამოდის რაკეტის ქვედა ნაწილიდან, თვითონ რაკეტა მიისწრაფის წინ (რეაქტიური მოქმედება).

წამში (სეკუნდი) რაკეტიდან 2.500 მეტრის სიჩქარით გამოდის გაზები, რაც ცარიელ სივრცეში უდრის 3.100 მეტრის სიჩქარეს.

რაკეტა მიჰქრის წამში 1
კილომეტრის სიჩქარით, მაგრ
ეს სიჩქარე ვითარდება ტყვი
სიჩქარისებურად.

გადასცილდება თუ არა დ
დამიწის მიმზიდველობის არე
რაკეტა განავითარებს პლან
ტათა შორისო სიჩქარეს უჰ
რო სივრცეში.

მიაღწევს თუ არა მთვარ
მიმზიდველობის არეს რაკეტ
ეშლება ფრთები და ნელა ე
ვება მთვარის ზედაპირზე.

ასეთ რაკეტებში შეიძლე
მოთავსდენ მგზავრებიც. (გო
დარდის რაკეტაში რომელი
უნდა გაუშვას ამ ზაფხულშ
კი არა.) რაკეტით ყოველგვარ
მარაგი და ჰაერის წაღებაც შ
იძლება.

შემდეგ ასეთი რაკეტით შ
იძლება ისევ უკან დაბრუნებ
დედამიწაზე.

გადაფრენას და გადმოფრ
ნას მთვარეზე და იქიდან დე
დამიწაზე ცანდერის რაკეტ
მოანდომებს სულ 10 დღეს
მაგრამ ეს მაინც მომავლის სა
კითხია.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. მაყურებელს (პირველი ლეგიონი) გვაცნობეთ ვინაობა, თორემ თქვენი კორესპონდენცია არ გავა.

ამხ. ოდიშარიას კორესპონდენცია „ჩვენი კომუჯრედი“ არ გამოდგა.

ამხ. ტრაქტორს თქვენი წერილი „მოგვაქციეთ ყურადღება“ არ გავა. გადაეცით კედლის გაზეთს.

ამხ. ბზიკს (მეხუთე ლეგ.) წერილი მნეს საყურადღებოთ არ გავა თუ საკმაოდ არ დაასაბუთეთ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

განცხადებები

1923 წელში „ევკოგრუზის“ გამგეობის დადგენილებით მის
კოოპერატივებიდან მიეცათ საქონელი ნისიათ ჩვენი ნაწილების უფ-პოლიტ-შემადგენლობას.

ეს ფული უნდა გადაეხადათ 3 თვის განმავლობაში, მაგრამ გადის მას შემდეგ რამოდენიმე წელი და ეს დავალიანება ჯერაც არ არის გადახდილი. ამ გარემოებამ სამხედრო კოოპერატივი ჩააყენა უკიდურეს მდგომარეობაში. ამიტომ „ევკოგრუზის“ გამგეობა განმეორებით აცნობებს, ვისაც ეს ეხებათ, და უკანასკნელათ აფრთხილებს, შემოიტანონ თავიანთი ხვედრი დავალიანება, დღეის რიცხვიდან 15 დღის განმავლობაში წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა იძულებული იქნება მიმართოს სასამართლოს ამ ფულების იძულებითი წესით ასანაზღაურებლად.

„ევკოგრუზი“-ს გამგეობა.

1-ლი და მე-2-ე ქართულ დივიზიების მეთაურთა და პოლიტ-ხელთა საყურადღებოთ.

ქ. ტფილისში გახსნილია ცენტრალურ სამხედრო გაზეთის „**კრასნაია ზვეზდა**“-ს გამომცემლობის ამიერკავკასიის განყოფილება.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ დღიურ სამხედრო გაზეთ „კრასნაია ზვეზდა“-ზე და სამხედრო პოლიტიკურ ჟურნალ „**სპუტნიკ პოლიტრაბოტნიკა**“-**ზე.** („პოლიტ-მომუშავის თანამგზავრი“)

ხელის მოწერის ფასი

„კრასნაია ზვეზდა“ 1——თვეში —1 მანეთი
3— ———— 2„ 90 კაპ.

„სპუტნიკ პოლიტრაბოტნიკა“
1———80 კაპ.
3———2 მან 30 კაპ.

განყოფილებასთან გახსნილია აგრეთვე სპეციალური სამხედრო წიგნების მაღაზია.

ყოველდღიური მიღება ახალი წიგნების ყველა საკითხებზე. სამხედრო ნაწილებს ეძლევათ შეღავათი და ნისიად.

მისამართი: ქ. ტფილისი, თავისუფლების (ყოფ. ერევნის) მოედანი № 3.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.